№ 260

ხუთშაბათი, 2 დეკემბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 260

ხუთშაბათი, 2 დეკემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ი ვ ე რ ი ა“
გამოვა 1900 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,
„ივერიის“ რედაქცია,
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
ბაქოში, სიდძეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

სატელეგ. ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დაუთმობათ, ნახევარის წლით 4 მან.

**ელენე ალექსანდრეს ასული გაბაშვილისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას
**ბესარიონ დავითის ძის გაბაშვილისას**
ორს ქრისტეშობის თვეს, ხუთშაბათს, 10 საათზედ ვერის წმ. იოანნე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.
(2— —2)

**თავ. რევაზ და გრიგოლ გიორგის ძენი ამილახვარნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა საყვარელის დის, პოდპოლკოვნიკის ყაზბეგის ქვრივის
**მარიამ გიორგის ასულის**
გარდაცვალებასა ქ. ტფილისში ნოემბრის 30. მიცვალებულს გაასვენებენ დღეს, შუადღის 12 საათზედ, რკინის გზის სადგურ კასპში და იქიდგან სამთავისის ტაძრის გალავანში დასაკრძალავად.
(1—194—1)

## ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 2 დეკემბერს,
ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება
მოსკოვის ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ
I
**შეშლილია**
კომედია-დრამა 2 მოქმედ. თარგ. ვ. აბაშიძისა.
II
**ძუნწი**
კომედია 2 მოქმედ. გ. ერისთავისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნებიერიძისა, გარელი, ჯავახიშვილისა, აბხაზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი

**ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გენერალ-მაიორი საგინაშვილი** აცხადებს, რომ მომავალ დეკემბრის 18 **მოხდება მაზრის თავად-აზნაურთა კრება ტფილისს**, დეპუტატთა საკრებულოს სადგომში, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სახლში.

ამასთან წინამძღოლი სთხოვს მაზრის თავად-აზნაურთ კრების დაწყებამდე წარადგინონ დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში დამამტკიცებელი საბუთები იმისი, რომ არჩევნებსა და საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ.
(3—6.—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ვ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ჩ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩნაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ტ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

## ექიმი
## კ. ს. გძელიშვილი
მ ი ი ღ ე ბ ს
**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—50)

ტფილისი, 1 დეკემბერი

სოიცარს სანახაობას წარმოადგენს დღევანდელი ომი ინგლისისა და ტრანსვაალისა...

გოლიათი ინგლისი, ეს დიდი და უშველებელი ზღვათა მფლობელი იმპერია ერთ მუჭა ერს მიესია და არამც თუ ვერა გაუწყვია-რა, ჯერ მარცხის მეტი არა უნახავს-რა. მთელს ქვეყანას უკვირს და ეოცება ამ ერთ მუჭა ერის ვაჟკაცობა, მხნეობა და საომარი მომზადებულობა. დიდი თუ პატარა სულ-განაბვით ელოდინება ყოველ დღე ამბავს ტრანსვაალში სისხლის ღვრისას. სხვა ყოველივე ამბავი სამსოფლიო მოქმედებისა თითქო შესდგა და ელის აცა რით გათავდება ეს საოცარი ომი, საცა ერთის მხრით გამარჯვებული კონდრის-კაცია და მეორეს მხრით დამარცხებული გოლიათი, ძლიერი ცოდნით, ხელოვნონობით, ხელოსნობით, სიმდიდრით და ყოველ იმით, რითაც ძლიერნი არიან ეს უკანასკნელნი დღენი მეცხრამეტე საუკუნისანი.

მაშინ, როდესაც მთელის ქვეყნის თვალი ამ ომზეა მიპყრობილი და სხვა ამბებისათვის კაცს თითქმის გული აღარ უცემს, სამსოფლიო ისტორიის მოედანზე ერთმა იმისთანა საქმემ გამოსდგა ფეხი, რომელსაც მომავალისათვის დიდი შედეგი აქვს: გერმანიამ ლამის ხელთ იგდოს მთელი მცირე აზია და გზა ხმელთა შუა ზღვიდამ სპარსეთის ზღვამდე ლამის მარტომ დაინარჩუნოს. ეს ამბავი რომ სხვა დროს მომხდარიყო, სახელდობრ, მაშინ, როცა ევროპის დიდ სახელმწიფოთა გული გულის ადგილას ჰქონებიათ და დღევანდელსავით ერთმანეთში ესე ახლართულ-ჩახლართულ არ ყოფილან, მაშინ, არა გვგონია, გერმანია ომსა და სისხლის ღვრას გადარჩენოდა. მაშინ ასეთი გაძლიერება გერმანიის მცირე აზიაში ძნელად თუ უომრად და სისხლ დაუღვრელად ჩაუვლიდა. რაც აქამომდე ოსმალეთთან ვისმე ომები ჰქონია, ან ამ ომებში ოსმალეთს ვინმე მიმხრობია, ამისი მიზეზი სხვათა შორის მცირე აზიაცა ყოფილა.

არც საკვირველია. ვინც გეოგრაფიული მდებარეობა იცის მცირე აზიისა, ის მიხვდება,—ეს ქვეყანა რა განძიც არის მისთვის, ვისაც სამსოფლიო ბაზრისაკენ გზის გახსნა ჰსურს და ვისა არა ჰსურს ეხლანდელ დროში, როცა ინგლისი, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი და თითქმის ავსტრო-ვენრიაც-კი—სხვას აღარ ვიტყვით—თვალ გაფაციცებით ეძებენ ბაზრებს, რადგანაც აუარებელი საქონელს ამზადებენ და ვეღარ გაუსაღებიათ ევროპაში. მცირე აზია, რომელსაც ჩრდილო აღმოსავლეთით შავი ზღვა უდევს, სამხრეთ-დასავლეთით ხმელთა შუა ზღვა, აღმოსავლეთით სპარსეთი და სამხრეთ აღმოსავლეთით უბე სპარსეთის ზღვისა, რომელიც ინდოეთის ოკეანეში გადის, ყველაზე მოკლე გზაა ევროპიდამ ინდოეთის ოკეანეში გასასვლელი და აქედამ მთელს შორეულს აღმოსავლეთსა და ამერიკაში. ამ სახით მცირე აზია, როგორც ქვეყანა, რომელსაც მიუბჯენია-რა თავი ხმელთა-შუა ზღვისათვის და ბოლო სპარსეთის ზღვის უბესათვის და აქედამ სპარსეთის ზღვით ინდოეთის ოკეანეს სწვდება, დიდი სახარბიელო ლუკმაა თვითეულ ევროპის სახელმწიფოსათვის. იმას ნუღარ ვიტყვით, რომ ვინც ასე თუ ისე ამ ქვეყანაში ფეხ-მოკიდებული იქნება, იგი დიდს ზედმოქმედებას იქონიებს მთელს სპარსეთსა და სხვა ახლო-მახლო მდებარე მოსაზღვრე ქვეყნებზე.

გერმანია კარგა ხანია იმ ყოფაშია, რომ მიწა-წყლის სივიწროების გამო მკვიდრნი მისნი იძულებულნი იყვნენ გახიზნულიყვნენ და უფრო ამერიკაში გადიოდნენ და იქ იკეთებდნენ ბინას. ამერიკაში გერმანელი დროთა განმავლობაში ჰკარგავდა თავისს ეროვნულს ვინაობას, ივიწყებდა ენას, ივიწყებდა თავისს ერს და სამშობლოს, და არავითარი, ურთიერთობა გერმანიასთან აღარა ჰქონდა რა. რა თქმა უნდა, გერმა-

ნიის სვე-ბედის გამგებელნი სწუხდნენ ამისთანა ამბის გამო და ჰფიქრობდნენ ამ აუცილებელს გახიზვნას საშობლოდამ იმისთანა გზა მისცენ, რომ გერმანელი მაინც გერმანელად დარჩეს და არ მოიშალოს თავისს ქვეყანასთან და ერთან ურთიერთობა. ამისათვის საჭირო იყო აეჩინათ საახალშენოდ იმისთანა ადგილები, რომ, რაც შეიძლება, ახლო იყოს გერმანიასთან და გარშემო არც იმასთანა ერი ეხვიოს, რომ თავისის კულტურის და ცივილიზაციის ძლიერებით გადაავგვაროს. ამისთანა ქვეყანა მცირე აზია არის, სადაც არც ერია საშიში თავისს კულტურის აღმატებულობით და თავისუფალი ადგილებიც საკმაოა.

არ ვიცით დიპლომატიის მოხერხებით, თუ სხვა რამ შინაურ, თუ გარეულ მიზეზით, 1856 წ. სულთანის მიერ კანონი დაიდვა, რომელმაც ოსმალეთში შესახიზვნელად კარი კარგა ფართოდ გააღო. ამ კანონით იმას, ვისაც გადმოსახლება ჰსურდა ოსმალეთში, ეძლევოდა იჯარით ადგილ-მამული თვრამეტის წლით და მას შემდეგ საკუთრებად რჩებოდა. გერმანელებსაც ეს უნდოდათ. მთავრობამ აღარც აცია, აღარც აცხელა და შეუდგა ცდას, რომ, რაც შეიძლება, ბევრს მისცეს ღონისძიება ოსმალეთში გადასახლებისა. მთავრობა ამისათვის არაფერს ჰზოგავდა, ფულსაც-კი აძლევდა, ოღონდ გადადით და საახალშენოდ ადგილები დაიჭირეთ ოსმალეთშიო. რა თქმა უნდა, ცალკე უადგილ-მამულობამ, ცალკე ასე მთავრობისაგან ხელ-შეწყობამ ბევრსა აუშალა სადერდელი. გადამსახლებელთა მცირე აზია აირჩიეს საახალშენოდ და იქ დასახლდნენ. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდათ ახალ ბინაზე ცხოვრება. მერე და მერე გამოკეთდნენ. მას მერმედ ხომ, როცა ანატოლიის რკინის გზა გაიყვანეს გერმანელებმავე, ეს ახალშენები სწორედ აღყვავებას მიეცნენ.

1898 წ. გერმანიის ეხლანდელმა იმპერატორმა მოიწადინა მცირე აზიაში წაბძანება ვითომდა იერუსალიმის და მისს მიდამოების სანახავად. იქნება ამისი სურვილიცა ჰქონდა, ხოლო თვისთა ქვეშევრდომთა ახალშენებიც დიდის დაკვირვებით ინახულა. მეტად კმაყოფილი დარჩა, რომ ახალმოშენეთა მხნეობას, გარჯას, ცოდნით საქმის დაჭერას ბევრი რამ კარგი შეუქმნია და ამასთან არ დავიწყებიათ არც თვისი ენა, არც ეროვნული ვინაობა, არც თავისი ერი და ქვეყანა და გერმანიის მიმართ მამულის-შვილობით გამსჭვალულნი არიან. ბევრმა დაუწუნა მაშინ იმპერატორს ეს მოგზაურობა, ბევრიც იცინოდა—ეს რა ყმაწვილობა მოსდისო, მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ იმპერატორმა თავისი განზრახული ლარი და ხაზი გაიტანა, რაკი საქმეს თავისის თვალით შიგ ჩახედა და იცნა რა ბოლაზია გერმანიისათვის სამერმისოდ და საბოლოოდ მცირე აზია.

იმპერატორმა ბევრ გვარად მოუქონა თავი არამც თუ ფადიშაჰს, არამედ მთელს მუსულმანობას, მოინადირა სულთანი და მისნი ქვეშევრდომნი და ბოლოს ხომ საბერძნეთთან ომის დროს დიდი მომხრეობა გაუწია და მთელი ქრისტიანობა ააყაყანა. გარნა იგი არავის შეუშინდა, მან ყური არავის ათხოვა და დღეს ხელთ იგდო ბძანება სულთანისა, რომლის ძალითაც გერმანელთ მიეცა ნება კონი-ბაღდადის რკინის გზა გაიყვანონ და მერე განაგრძონ თვით სპარსეთის ზღვის უბემდე, სადაც ბასსარა არის. ამ სახით გერმანია არამც თუ ხელთ ჩაიგდებს მცირე აზიას საახალშენოდ, არამედ ყველაზე მოკლე გზასაც, ინდოეთის ზღვაში გასასვლელს ხმელთა შუა ზღვიდამ, ესე იგი, ევროპიდამ.

ეხლს ევროპაში თვითეულს დიდს სახელმწიფოს თავისი ცალკე ჭირი და ვარამი აქვს შინ თუ გარედ და ერთმანეთში ისე ჩაწნულ-გადაწნულნი არიან, რომ ამ საქმისათვის ვერ მოუცლიათ როგორც რიგია. ზოგიერთი დღესაც ბევრს იცემს თავში, გერმანიის გაძლიერებას მცირეაზიაში რომ ჰხედავს, მაგრამ „წამხდარს საქმესა რას არგებს მერმე-ღა თითზე კბენანი“.

საქმე-კი თავის-და თავად დიდი საქმეა. ბოლო გამოაჩენს ამას. უეჭველია, მთელი მცირე აზია ამის შემდეგ მთლად მოიფინება გერმანელთა ახალშენებით და გერმანია, რომელიც აქამდე სულ ამას იძახდა,— მე მახლობელ აღმოსავლეთის საქმეში ჩასარევად არაფერი ინტერესი მაქვსო, ეხლა ამას ველარ იტყვის. ეხლა მიზეზიც და ინტერესიც დიდი ექმნება. ჯერ ერთი რომ ხელში ეჭირება ყველაზე მოკლე გზა სავაჭრო საქონელის გასაზიდი ევროპიდამ მთელს აზიასა და ამერიკაში და ამით დიდს მეტოქობას გაუწევს დიდს გზას ციმბირისას, რომელიც ეხლა შენდება და რომელსაც კარგა ბარაქიანად მოაკლდება საქონელი აზიის და ამერიკის ბაზრებისათვის მისაწვდენი. მერე, რაკი გერმანია თავისის ახალშენებით და ამ კონი-ბაღდად-ბასსარის რკინის გზის მეოხებით შიგ ჩადგება მცირე აზიაში და ფეხს მოიმაგრებს, დიდს პოლიტიკურს ზედმოქმედებას იქონიებს სპარსეთზე, მცირე აზიის ახლო-მახლო მოსამზღვრეებზედ და მათს ისტორიულ სვებედზე. დღეს აქამომდე გერმანიას, მართლა, არა ეწოდა-რა და ამას იქით-კი იქნება ქვაც არ გადაბრუნდეს მცირე აზიაში გერმანიის დაუკითხავად და უნებურად. ჩვენ ესეც გვგონია, რომ დღეის ამას იქით ეგრედ წოდებული მახლობელ აღმოსავლეთის საქმე თავისს ადგილს იცვლის, რადგანაც, ჩვენის ფიქრით, ნასკვი ამ მახლობელ აღმოსავლეთის საქმისა, როგორც აშკარადა სჩანს, დღეს მცირე აზიაში ინასკვება.

## ახალი ამბავი

⁂ დღეს, ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, ქართული დრამატიული დასი საქველ-მოქმედო წარმოდგენას ჰმართავს. წარმოდგენილი იქნება კომედია-დრამა 2 მოქმედებად „შემლილია“, თარგ. ვ. აბაშიძისა, და „ძუნწი“, კომედ. 2 მოქმედებად გ. ერისთავისა. ამ წარმოდგენის შემოსავალი გადაიდება მოსკოვის ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ. მარტო ეს დანიშნულება წარმოდგენისა, იმედი გვაქვს, მრავალს საზოგადოებას მიიზიდავს თეატრში, რომ ღარიბ სტუდენტებს მცირეოდენი წვლილი შესწიროს და ამით ხელი გაუმართოს ასზედ მეტ სტუდენტს, რომელნიც როგორც ჩვენს გაზეთშიაც იყო გამოცხადებული, დათხოვნილი უნდა იქმნენ სწავლის ფულის შეუტანლობისა გამო.

⁂ 30 ნოემბერს მთავარმართებლის სასახლეში, მისის ბრწყინვალების თავმჯდომარეობით, მოხდა განსაკუთრებულ კომისიის სხდომა საკომლო ხარკის აკრეფის წეს-რიგის შეცვლის შესახებ. მცირე კომისიების-მიერ შემუშავებული პროექტი კრებამ მოიწონა და ამ დღეებში გაუგზავნის ფინანსთა მინისტრს, რათა საკანონმდებლო წესით იქმნას იგი დამტკიცებული.

⁂ გუშინდელს კრებაზედ ქალაქის გამგეობამ, სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორის თხოვნით, დაადგინა გადასდოს 394 მანეთი ზოგიერთ სპეციალურ მანქანების შესაძენად, რომლებიც საჭიროა წყლის ქიმიურად და ბაქტერიოლოგიურად გამოსაკვლევად. გამგეობამ დაადგინა აგრეთვე სთხოვოს კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას მონაწილეობა მიიღოს ნატახტარის წყაროების გამოკვლევაში; ამ საქმისათვის გამგეობამ 200 მანეთი გადასდო.

⁂ გუშინ, 1 დეკემბერს, ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელმა ინჟინერმა შაიკევიჩმა ყარსის რკინის გზაზედ მოსამსახურეთ ბრძანება გაუგზავნა, რომელშიაც გამოცხადებულია ყარსის რკინის გზაზედ მატარებლების მიმოსვლის დაწყების შესახებ (აქამდის ამ გზაზედ მატარებლების მიმოსვლა დროებითი იყო), და ის, რომ ეს გზა ამ დღიდგან ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობის მმართველობის ქვეშ იმყოფება. ბრძანებაში ამას გარდა რკინის გზის უფროსი ურჩევს მოსამსახურეთ წესიერად მოიქცნენ და საზოგადოებას კარგად და ზრდილობიანად მოეპყრან. გუშინ ყარსსა, გუმბრსა და კარაკლისში პარაკლისი იქმნა გარდახდილი.

⁂ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, გუბერნატორის მოხელე თავ. მიხეილ ნიკოლოზის-ძე გედევანიშვილი საგანგებოდ გაგზავნილ იქმნა ტფილისის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრებში საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

⁂ მცხეთის მახლობლად დღევანდლამდე დარჩენილია მეტად ძველისძველი ნაშთი, ქართველთა წარმართობის დროის არმაზის სადგური, სადაც ქართველი ერი მუხლს იდრეკდა და ლოცულობდა. ეს ნაშთი დღეს მეტად მიუვალ, უტეხ მთა-ხევლოვიან ალაგას არის და დღევანდლამდე კარგად შენახულა. აქამდის კაცი აქ ძნელათ მიაღწევდა, რომ გზა კვალი არ არეოდა, აქვე აერია გზა კვალი მეფე მირიანს, 20 ივლისს მესამე საუკუნეში, რასაც ჩვენი ისტორიაც მოგვითხრობს. დღეს, ამ ძველის-ძველ ნაშთთა სანახავად კარგი ბილიკიანი გზა გაუკეთებიათ ე. ს. ჩხარტიშვილის არმაზიდამ ვიდრე წმ. ნინოს საყდრამდე. ეს საყდარიც მთლად სდგას დღევანდლამდე. ეს გზა 5 ვერსის მანძილზედ იქმნება; მეტად დიდი აღმართებიც

# ფელეტონი

### მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.

(შემდეგი *)

ათონის ძველი ივერიის მონასტერი და ახალი ქართველთა სავანე და მათი ურთიერთა შორისი დამოკიდებულება.

ყავით შექცევის შემდეგ შემიყვანეს ვატოპედის მონასტრის ძმათა წიგნთ-საცავში, რომელიც სამაგალითოდ აქვთ მოწყობილი. სამნი ძმანი იყვნენ მაჩვენებელნი წიგნთ-საცავისა. მოვითხოვე კატალოგი, რომელიც მაშინვე მომიტანეს, ყოველს ენაზედ, ყოველს განყოფილებას წიგნებისას თავისი სია აქვს. კატალოგშივეა გამოცხადებული, რომელი ხელნაწერი რომელს საუკუნეს ეკუთვნის და ავტორსა.

მაჩვენეს ძვირფასი სახარება ბერძნულს ენაზედ, ოქროთი დაწერილი თვით იოანნე ოქროპირისაგან; ამ სახარებაში ტექსტის გარეშემო აქვს დაწერილი განმარტება თვითეულის თავისა. შევამოწმეთ რაოდენიმე ადგილი სახარებისა და ღვთისმშობელის დაუჯდომელისა ქართულს, ბერძნულსა და სლავურს ენებზედ, რომელნიც განსხვავდებიან ერთმანერთისაგან. სრული სამი საათი გავატარე ამ წიგნთ-საცავში დიდის კმაყოფილებით. მოხუცებულმა იღუმენმა კარგად იცოდა საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნები; ჩქარა პოულობდა ბერძნულს ენაზედ იმ ადგილებსა, რომელსაც ზეპირად ვეუბნებოდი, რადგანაც ხელში არა მქონდა არცა სლავური და არც ქართული წიგნები. დამატკბო სულიერად ამათმა ძმობრივმა ყურადღებამ და პატივისცემამ და მეცნიერებისა მიმართმა თანაგრძნობამ. ყოვლისა ამისათვის გრძნობილი მადლობა მოვახსენე. მერე მიმიწვიეს სადილად; სადილის შემდეგ მთხოვეს ღამის გათევება მათ სავანეში. მადლობა გადაუცხადე გულითადის მშობრივის შეწყნარებისათვის და გარდავეცი სახსოვრად ერთი ხატი საქართველოს ეკკლესიის წმიდათა, რომელიც მიიღეს დიდის კმაყოფილებით, და დასასრულ ვსთხოვე მონასტრის ნავით გამგზავრება ჩვენი, რადგანაც ზღვა დამშვიდებული იყო; სიამოვნებით დამითმეს ნავი ოთხის მენავეთი და ორის საათის განმავლობაში მივედით ევსილნის ბერძენთა მონასტერში, სადაც ჯორებით ხუთს საათზედ უადრეს ვერ მივიდოდით აღმართ-დაღმართ გზების გამო. ევსილნის სავანეში გავატარეთ ღამე; ეს მონასტერი სხვასთან შედარებით ღარიბთაგანია, მაგრამ მაინც სჯობია ქართველთა უდაბნოთ. პირველად ვნახე ათონის მთაზედ, ამ მონასტრის გარეთ, რომ ერთმა მორჩილმა მოწყალება მოითხოვა.

მეორე დილით წარვერმართენით აქედგან ზოგრაფის მონასტერს, სადაც მივაღწიეთ სამხრობისას და აქვე გავატარეთ ღამე. ფრიად კეთილად განწყობილი მონასტერია იგი, მშვენიერი ეკკლესია და სახლებიც ჩინებული, ორსამ სართულიანი აქვს. აქა ჰმოღვაწეობენ ბოლგართა ძმანი, გარნა ეს მონასტერი დაფუძნებით ეკუთვნის სერბიელთა; ამათაც ის დღე დამართნიათ, რაც ქართველთ. მე ეს არ ვიცოდი წინად. ვახშამზედ არხიდრომმან, სტუმართ მიმღებელმა უფროსმა, რომელსაც ვაუწყეთ ჩვენი ეროვნობა, დაიწყო საუბარი, რომ ივერიის მონასტერი თუმცა ქართველებს აღუშენებიათ, მაგრამ შემდეგ თავი დაუნებებიათ და ეხლა ველარ დაიბრუნებენო. მე ვუპასუხე: ჩვენი სამკვიდრებელი ივერიის მონასტერი ისევ დაქცეულიყო დროების ხელით იმას უფრო შევურიგდებოდით, ვიდრე ამ უსამართლო გარემოებას, რომ ჩვენი მონასტერი ძალმომრეობით წარუტაცნიათ ბერძენთა და სარგებლობენ იმ მამულებით, რომელნიც საქართველოს მეფეთა და მთავართა შეუწირავთ ქართველთა ძმათა სასარგებლოდ. მაშინ ხმა ჩაიკმიდა, ხოლო მეორე დღეს წამოსვლის დროს შენდობა მოითხოვა ჩემგან, წუხელ იქმნება, გაწყენინე რამე, მომიტევეო. მერე ვცანი, რომ თურმე ეშინიანთ, სერბიელთა არ წაართვან ეს მონასტერი; და ამისათვის ეხლა ეფიქრებათ, რომ თუ ქართველთ დაუბრუნდათ ივერიის მონასტერი, მაშინ მაგალითი მიეცემათ სერბიელთა თვისის მონასტრის დაბრუნებისა და ბოლგართა მფლობისაგან.

ამ ზოგრაფის მონასტერში სცხოვრობს კერძოდ ერთი რუსის არქიმანდრიტი რაფაელი, რომელიც ვნახე და რაკი გამიცნო, რომ ქართველი ვარ, დამიწყო საუბარი ივერიის მონასტრის შესახებ და ამ საქმის წარმატებისთვის რამდენიმე კეთილი რჩევა წარმოსთქვა: 16 ივლისს დავბრუნდით ქართველთა ძმათა სავანეში. ამ დღეს მოსულიყო იერუსალიმით ნიკოლოზ ჩიკვაიძე, რომელსაც პალესტინაში მოსწყენოდა, ათონზედ ამოვიდა და აპირებდა ქართველთა ძმათა სავანეში მოღვაწეობასა.

ორის თვის პალესტინაში და ათონზედ მიმოვლის შემდეგ 17-ს ივლისს გამოვეთხოვე საყვარელ ძმათ ქართველთა სავანისათა, რომელთაც მიმიღეს ვითარცა სიყვარულითა, ეგრეთვე გამომაცილეს გულ-მოწყალებითა. ამ დღეს საღამოს რვა საათზედ ჩამოვედით რუსთა პანტელეიმონის მონასტერში თანამგზავრებითა გაბრიელ ქართველ მონაზონისათა, რომელიც შვილებრ ჰმსახურებდა ჩემს მოხუცებასა. ამ საღამოზედვე გამოვეთხოვე წინამძღვარს მ. არქიმანდრიტ ანდრიასა, მადლობა მოვახსენე გულ-კეთილ შეწყნარებისა და პატივისცემისათვის, რომელიც კურთხევად წმ. მონასტრისა გარდამომცა წმ. პანტელეიმონის ხატი. მეორე დილით, ადრე, წირვის მოსმენის შემდეგ, გავეშურე ცეცხლის გემზედ. ეს გემი იყო „ალექსანდრე II“, უფროსობდა დრაგომირ ჩერნოგორჩევიჩი, დიდად პატიოსანი და კეთილშობილი კაცი და სამღვდელოთა პატივისმცემელი; სტამბოლში გამოვლით დავრჩით ორს დღეს. ეს ცეცხლის გემი წამოვიდა ბოლგარია-მაკედონიის საზღვრის პირზედ. გამოვედით თუ არა კონსტანტინეპოლის ლიმანს, აღელდა ზღვა და მეორე დღის სადილობამდე აღარ დასცხრა. ამოვიარეთ ბოლგარიის ქალაქს ბურგოსს, აქედგან ამოვიდა

*) იხ. „ივერია“ № 259.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის და მისახვევ-მოსახვევი მრავალი აქვს. დღეის შემდეგ ამ ადგილის ხილვა ყველას ადვილად შეეძლება, რადგანაც ეს გზა პირდაპირ წმ. ნინოს საყდრიდამ არმაზის ციხეს და სამლოცველოს დასცქერის. გზა ამ ზაფხულს თავის შრომით გაუკეთებია ბ-ნ იაგორ ჯაყელს ოთხის თავისის თანამოსამსახურეთი, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსნი არიან.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ წინადადება მისცა საბაღოსნო სკოლის მზრუნველს, სტიპენდიანტებად ჩარიცხეთ თავ. დავით ამილახვარი და დავით პარკაძე მათის მშობლების თხოვნის გამო, მიწად-მოქმედების მინისტრის სურვილის თანახმადაო.

⁂ ბეითალს ე. ვ. ტურკინს, ქ. ბათუმის ზოგიერთ მცხოვრებთა სახელით, შუამდგომლობა დაუწყია ქუთაისის საგუბერნიო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ მას ნება მიეცეს დააარსოს ქ. ბათუმში საჯარო წიგნთ-საცავი და დამტკიცებულ იქმნას ამ წიგნთ-საცავის წესდების პროექტი.

⁂ მესამე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოს გამომძიებელი შეუდგა ამიერ კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსის იზმაილოვის მოკვლის განზრახვისა და შერემეტიევის სახლის ეზოს ასასის ტოლმანუსის მოკვლის საქმის გამოძიებას. ჩვენება ჩამოერთვა მოწმეთ ბ-ნს კარამოსკოს, პოლიციელთ და სხ.

⁂ ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს განუზრახავს, რომ დრო-გამოშვებით რუსულს ენაზედაც გამოსცეს ზოგიერთი ისტორიული წიგნები საქართველოს შესახებ. ამას წინად დაბეჭდა ისტორიული წერილები ლ. ისარლოვისა, ეხლა ამზადებს დასაბეჭდად „თამარ მეფეს" მოსე ჯანაშვილის დაწერილს, რომელიც ამას წინად „ახალ მიმოხილვაში" იყო დაბეჭდილი. შემდეგ ამისა გამოსცემს ზოგიერთ ნაწერებს ცნობილის ისტორიკოსების დ. ბაქრაძის და პ. იოსელიანისას. „თამარ მეფის" შემდეგ დაიბეჭდება „შოთა რუსთაველი" პ. იოსელიანისა.

⁂ 30 ნოემბერს ქალაქის გამგეობამ გამოუცხადა უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ-ნს რობის ის პირობები, რა პირობებითაც ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა გასცეს ცხენის რკინის გზის წარმოების კონცესია. რობი გაეცნო შეცვლილ პირობებს და განაცხადა, დაუყოვნებლივ შევეკითხები ამ საქმის გამო უსახელო საზოგადოების გამგეობასაო.

⁂ ინჟენერმა ლინდლეიმ, დაათვალიერა რა ნატახტარის წყაროები, როგორც ისმის, საჭიროდა სცნო უკეთესად იქმნას გამოკვლეული ეს წყაროები, რასც დაახლოვებით დასჭირდება 50,000 მანეთიო.

⁂ უკანასკნელს ორს კრებაზედ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ეხლავე შეუდგეს 1900 წლის საერობო სახელმწიფო გადასახადის გაწერას ტფილისის სახლის პატრონებზედ.

⁂ გაზ. „ცნობის ფურცლის" რედაქტორ-გამომცემელს ბ-ნ ვ. გუნიას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამ გაზეთის დროებითი რედაქტორად დამტკიცებულ იქმნას ჟურნალ „მოამბის" რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია.

⁂ 30 ნოემბერს ქალაქის მოურავმა განსახილველად წარუდგინა გუბერნატორს ქალაქის საბჭოს დადგენილება ხმოსნის თავ. ნ. ზ. თუმანოვის სამართალში მიცემის შესახებ დაფასების ქაღალდებში სიყალბის ჩადენის გამო.

⁂ 9 დეკემბრისათვის კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა საერო კრება საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილ აბრეშუმის თესლზედ ზედამხედველობის დაწესების შესახებ.

⁂ ქალაქის 1900 წლის შემოსავალთა აღრიცხვის მიხედვით შემოსავალი უძრავ ქონებათა დაფასების გარდასახადისა მოსალოდნელად ჩათვლილია—459,579 მან., სავაჭრო-სამრეწველო გარდასახადისა—122,001 მან., კერძო კაცთა ცხენებ-ეტლების გარდასახადისა—27,776 მან., სხვა-და-სხვა გვარ ბაჟისა—18,721 მან., ქალაქის ქონებათა შემოსავალი—65,220 მან. (სახელდობრ ქალაქის ადგილებისა—38,124 მან., ქალაქის შენობებისა—14,701 მან., საიჯაროდ გაცემულ ადგილებისა—11,374 მან.), წყლის მილებისა—63,000 მან., ხიდების იჯარისა—23,425 მან., ქალაქის დასუფთავების გარდასახადი—7,500 მან., სადეზინფექციო სადგურისა—3,200 მან., ღორის ხორცის გამოკვლევის გარდასახადისა—10,282 მან., საქონლის დასაყენებელ ბაკისა—10,000 მანეთი, წყლის მილების სახელოსნოსი—35,168 მანეთი, სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევარებისა 8,422 მან., ხაზინის შემწეობისა და ხარჯების დაბრუნებისა—118,655 მან. და დასასრულ სხვა და სხვა წყაროებიდგან—22,923 მ. მაგალ., ჯარიმებისა, ქალაქის სანერგისა და სხ.. როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, საერთოდ შემოსავლის რაოდენობა უდრის 1,238,235 მან., ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალთა რაოდენობა უდრის 1,258,828 მან., ე. ი. 20,593 მანეთით მეტი იყო. შემოსავლის შემცირება უმთავრესად გამოუწვევია სოფლის ნაწარმოებთა, ეტლებსა და ტივებზედ გარდასახადის აკრეფის მოსპობას.

⁂ სოფ. გოლაგი, (სიღნაღის მაზრა). ამ სამი წლის განმავლობაში აქაური მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში იყვნენ მოუსავლობისა გამო. წლეულს კარგი მოსავალი იყო ღვინისა, მაგრამ ფასი არა აქვს. თუმცა შესმენილი თავადები სცხოვრობენ კოლაგში, მაგრამ სოფლის კეთილდღეობისთვის ცოტასა ზრუნავენ. ჩვენს მახლობელ სოფლებში, ყველგან სკოლები დაიმართა, აქ კი არავინა ზრუნავს, რომ გლეხმა შეიგნოს რამე.

⁂ გუშინ, 1 დეკემბერს, ქალაქის გამგეობამ გადასდო 500 მანეთი ოდეგას ქუჩაზედ არხის გასაყვანად. ეს ფული შემდეგ იმ სახლის-პატრონებს გამოერთმევათ, რომელნიც თავიანთ სახლიდგან მოიწადინებენ არხის გაყვანას და ქალაქის არხთან შეერთებას.

⁂ 29 ნოემბერს, საღამო ხანს, ტფილისის მცხოვრებმა ოსიპ ლაზარევმა, დაჰკეტა თუ არა თავისი დუქანი იარმუკაზედ, შინისაკენ გასწია. გზაში მას ორი ნაცნობი კაცი შეხვდა და მათთან ერთად მიკიტანთან შევიდა. აქ დანახარჯის ანგარიშის გასწორების დროს ლაზარევმა ჯიბიდგან ფული ამოიღო, რომელიც ასორმოც მანეთზედ მეტი ჰქონდა. მეგობრებმა შენიშნეს თუ არა ეს, განსაკუთრებულის თავაზიანობით დაუწყეს გამასპინძლება, დაათვრეს და შემდეგ ჩაისვეს ეტლში და წაიყვანეს ვერაზედ. მივიდნენ თუ არა ვერის აღმართთან, ამოაცალეს ჯიბიდგან ფული, თითონ ეტლიდგან გადააგდეს და დაიმალნენ. ლაზარევი ქუჩაზედ ეგდო, ვიდრე პოლიციელმა არ გააღვიძა და შინ არ წაიყვანა. დამნაშავენი უკვე მოსძებნეს და სამართალში მისცეს.

⁂ გუშინ, 1 დეკემბერს, გაზ. „Новое Обозрѣніе"-ს რედაქციამ თავისს ხელის-მომწერლებს განცხადება დაურიგა და აცნობებს, რომ გაზეთის რვა თვით შეჩერებისა გამო ხელის-მომწერელთ, რომელთაც დააკლდათ ნომრები, შეუძლიანთ მათი საკუთვნო ნაწილი ხელ-მოსაწერის ფულისა მიიღონ 15 დეკემბრამდე, 12-დგან 2 საათამდე, ხოლო თუ ფულის უკან წაღება არ ისურვეს, მაშინ მომავალს წელს, გაზეთის ბეჭდვის განახლებულ დღიდგან, გაზეთი გაეგზავნებათ იმ ვადით, რა ვადითაც ერგებათო.

⁂ 1 დეკემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ სად. შამხორის მახლობლად სპარსეთის ქვეშევრდომი ზიულფუგრ-აბდულ-ოღლი, 34 წლის კაცი მატარებელ ქვეშ მოჰყვა, როდესაც გადმოხტომა დააპირა. აბდულ-ოღლის დაუშავდა მარცხენა ფეხი და თითები. დაშავებული განჯის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ ქალაქის გამგეობის შტატების შემმუშავებელ კომისიის თავმჯდომარე ამ დღეებში მოიწვევს გამგეობის პირველ განყოფილების მოსამსახურე კაცთა კრებას მათ შორის შრომის განაწილებისა და მუშათა რიცხვის გამრავლების საქმის გამოსარკვევად.

⁂ იბეჭდება და მალე გამოვა მესამე წიგნი „ქართლის ცხოვრებისა", რომლითაც დასრულდება „ქართლის ცხოვრება".

ზაქათალა. წრეულს აქ თხილისა და ბრინჯის მოსავალი ნაკლები იყო, რის გამოც პირველი ოთხ მანეთამდე ფასობს ფუთი, ხოლო მეორე—თორმეტ აბაზამდის, მაშინ როდესაც წინა წლებში თხილი 7—8 აბაზად იყიდებოდა, ხოლო ბრინჯი 6—7 აბაზად ფუთი. ვაშლი, მსხალი, კომში, წაბლი და სხვა, მრავალია. სოფელ ბელაქანში ამ ხილს 30—40 კაპ. იყიდით ფუთს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ტობანიერი, (ქუთაისის მაზრა). ნოემბრის 17, 18 და 19 აქეთ გადაუღებლივ იწვიმა დღე და ღამე. მდინარე უუმური, რომელიც ჩამოდის სოფლის სამმართველოსა და ორ-კლასიან სასწავლებლის მახლობლად, საშინლად ადიდდა. 18 ნოემბერს, დილის სამ საათზედ, როდესაც ყველანი ტკბილ ძილში იყვნენ, გადმოიარა და შეუვარდა მცხოვრებლებს სახლში. ასტყდა ერთი ხმაურობა: ქალების კივილი, ბავშვების ტირილი, კაცების ყვირილი, გოჭების ჭყვირილი და ქათმების კრიახი აირია ერთმანეთში და თავზარ-დასცემ ამბავს წარმოადგენდა. საშველი არსაით იყო, გარედ სიბნელის გამო ვერავის დაინახავდა კაცი, ისმოდა მარტო წყლის ხმაურობა. რა უნდა ექმნა კაცს, ყველას იმედი ჰქონ-

გემზედ ივანე თეოდორის ძე გრეკოვი ბოლგართაგანი, დრაგომანი რუსეთის საიმპერატორო სავიცე-კონსულოს, რუსეთში აღზრდილი, დიდად პატიოსანი ახალგაზრდა; იგი მიემგზავრებოდა სიმფეროპოლის გუბერნიაში მშობლების სანახავად. ამანაც გადმომცა, სხვათა შორის, რომ ბოლგარიაში, ფილიპოპოლის მახლობლად, მთაში არის მონასტერი, რომელსაც უწოდებენ ქართულ სავანედ და ეკკლესია წმ. ნინოს სახელზედაო და ქართული წიგნებიც არის იქ, ამ მონასტერში ეხლა ჰმოღვაწეობენ ბოლგარნიო". სად არს ჩვენი ძველი დიდება?!.

ამოვიარეთ ვარნა, ბოლგართა ქალაქი, რომელსაც კარგი ბოღაზი აქვს, აქვე არის ქალაქს გარედ ახლად აშენებული საზაფხულო სასახლე იმათის მთავრისა. აწ სტკბებიან ბოლგარნი თავისის ეკკლესიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ნაყოფით; ქება და დიდება მათ მწყემს მთავართა, რომელთაც იწყეს ეს საქმე, არ შეუშინდნენ მრავალ მწუხარებათა და დევნულებასა, რომელიც დაითმინეს სამშობლოს სიყვარულისათვის, და დასასრულ მაინც თავისის ეროვნების სასიქადულოდ დააბოლოვეს ეს მამულის საქმე.

22 ივლისს შესრულდა ორი თვე ჩემის მოგზაურობისა იმ დღიდგან, როდესაც ოდესიდგან გამოვედი და წარვემართე იერუსალიმს; სწორედ ამ რიცხვშივე, ორის თვის მოგზაურობის შემდეგ, მოვბრუნდი ოდესაშივე. ოდესაშივე დავიბინავე ანდრიას სკიტის მეტოქიაში. რაოდენად დიდად კეთილ-მდგომარეობაშია ანდრიას ათონის სკიტი, მისს მეტოქს ჰშვენის უკეთესი კეთილ-მოწყობილობა ოდესაში. სხვა ათონის რუსთა მონასტრების მეტოქებს ოდესაში უკეთესი კეთილმდგომარეობა ეტყობა; ილიას სკიტს, რომელიც ეხლა აპირებს საკრებულო ტაძრის აღშენებას ათონზედ, ოდესაში აქვს მშვენიერი ტაძარი, რომელიც დიდად დაამშვენებს ყოველს სატახტო ქალაქს, ესევე ითქმის ოდესაშივე მყოფ პანტელეიმონის სკიტის მეტოქის შესახებ. სამ სართულიანი სახლები აქვთ ორსავე ამ მეტოქიებს. ოდესაში ფრიად ცხელა. გულით მოვისურვე ნახვა ოდესაში ღირსად პატივცემულის მამულიშვილის ვასილ პეტრიაშვილისა, ერთ გზის მისს სადგურში ვიკითხე, ორჯელაც უნივერსიტეტსა და ლაბორატორიაში, შემდეგ მითხრეს აგარაკად წასვლა მისი, წაველ რკინის გზით და ბევრი ვეძიე და, სამწუხაროდ ჩემდა, ვერსად ვიხილე. ესევე დამემართა 1885 წელსა აგვისტოს თვეში. ვნახე ოდესაში დიდად მშვენიერნი შენობანი ფოსტა-ტელეგრაფისა და დახურული ბაზარი ქალაქისაგან გამართული, სადაც ყოველი სანოვაგე, მასალა იყიდება აქ, დუქნებში ვაჭრობენ ვითარცა მამრნი, ეგრეთვე მდედრნიცა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა განურჩევლად: რუსი, ურია, ნემეცი ბერძენი და სხვანი.

27 ივლისს წამოვედით ოდესიდამ შუადღის პირველს საათზედა, ჩამოვიარეთ ევპატორია, სევასტოპოლი და ერთს საღამოს ჩაიზედ ვიწყეთ საუბარი; ჩემთან თანამოგზაურობდა ვლადიმირ ივანეს ძე ზაიონჩევსკი, დირექტორი კიევის ბრმათა სასწავლებლისა, ყოფილი პროფესორად კიევის უნივერსიტეტისა. მკითხეს ჩემის მოგზაურობის ამბავი და მეც, გულდამწვარი ათონის ივერიის მონასტრის ბერძენთაგან, მოვუთხრობდი მსმენელთა, რომ მე მსურდა ათონზედ მენახა ქართული ძველი დაბადება, რომლისა ღირსი ვერ გავხდი. მაშინ გვითხრა ერთმა ჩვენმა თანამგზავრთაგანმა: თქვენ მ. კ—ი ხომ არა ხართ? მე განცვიფრებული შევხედე და მოვახსენე: სწორედ ის გახლავარ, საიდგან უწყით ჩემი ვინაობა? მან მიპასუხა: მე ყურადღებას ვაქცევ ქართულს ლიტერატურას და მომისმენია ისტორია თქვენ მიერ შესწორებულის დაბადებისა. აღმოჩნდა, რომ ეს ყოფილა ბ. ვარდროპი, ინგლისელი, თვისის დით. ესენი მოდიოდნენ ქ. ქერჩს, სადაც იგი ასრულებს ვიცე კონსულის თანამდებობას. მადლობა მოვახსენე ასეთის ყურადღებისათვის ქართულ მწიგნობრობის მიმართ, არა მხოლოდ საერო, არამედ სასულიეროსიც. მკითხა გარემოება ქართულის დაბადებისა და მეც ვუთხარი გარემოება ამ საქმისა. უცხო ქვეყნის შვილნი სიამოვნებით ყურადღებას აქცევენ ჩვენს ლიტერატურას და ჩვენ, სამწუხაროდ, არა თუ გარეშე, არამედ ჩვენის საკუთარის ზოგად ჭირისა და ვარამისა არა ვუწყით-რა. დროა გამოვიღვიძოთ და განვიფრთხოთ ღრმა ძილი. ქერჩის კიდეზედ დავშორდით ამ დიდებულის სახელოვანის ერის ღირსეულთ შვილთა ბ-ნ ვარდროპთა. აქედგან განვაგრძეთ გზა და მოვედით ახალ ათონის მონასტერში, ჩვენს ძველს საქართველოს ნაწილში. აქ აღუშენებიათ მშვენი ტაძარი და სახლები მონაზონთათვის; აქვთ სკოლა აფხაზთა ყრმათათვის, სადაც სწავლობს 15 მოწაფე. რუსულს ენას ასწავლის ბ-ნი ნიკიფოროვი, ოდესმე სამხედრო პოლკოვნიკი და აწ ანაფორა-მოსილი მონაზონი; ამას ტფილისის საზოგადოება კარგათ იცნობს, ბოლოს დროს იგი ასრულებდა თანამდებობას მთების სკოლების ინსპექტორისას ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოების უწყებაში. აქაც აღუშენებიათ დიდებული ტაძარი და გარემოს მისა სახლები ძმათათვის. აქ დავრჩი ორს დღეს. პირველ აგვისტოს, საღამოს 5 საათზედ, წამოვედი ეტლით ჩემის თანამოგზაურით ოდესისვე ბრმათა დირექტორთანავე. იგი თვისის სახლობით პირველად ჰმოგზაურობდა კავკასიაში და აღტაცებაში მოდიოდა აქაურის მდიდარის ბუნებით. საღამოს 8 საათზედ მოვედით ქ. სოხუმში, რომელიც ჰშორავს ახალ ათონის მონასტერს 24 ვერსით. აქ ვნახე ძველი მეგობარი, მრავალ პატივცემული მ. დეკანოზი დავით მაჭავარიანი, რომელთანაც ვისაუბრეთ ზოგად ჭირ-ვარამის შესახებ, ვნახე აგრეთვე მ. ბენედიქტე, წინამძღვარი ათონის ქართველთა სავანისა. გარდავეცი, რა მდგომარეობაშია მისი სავანე, რადგანაც იგი რამდენიმე წელია დაჰშორებია მონასტერსა და იმყოფება სოხუმსა და ბათუმში.

დეკანოზი პ. დ. კონჭოშვილი-ილწოველი

(დასასრული იქმნება)

და შურზედ შეეფარა თავი, თუ კი სახლი გაუმაგრდებოდა წყალს და არ წაიქცეოდა. ნაშუადღევის მესამე საათიდგან დაწყებული დილის 11 საათამდის წყალი თანდათან მატულობდა, ასე რომ სასწავლებლის ეზოში 13 ვერშოკის სიმაღლეზედ იდგა,—შემოვიდა კიბის მესამე საფეხურზე, დარჩა კიდევ სამი ვერშოკი და. თუ კიდევ მოემატნა, წყალი უნდა შემოსულიყო კლასებში და მასწავლებლების ოთახებში, მაგრამ თერთმეტ საათს შემდეგ იკლო და ნაშუადღევის მესამე საათზედ დავინახეთ აქა-იქ დედამიწა. ერთმანეთი რომ დავინახეთ, ცოტა იმედი მოგვეცა და ვულოცავდით მშვიდობით გადარჩენას. წყალმა წაიღო სასწავლებლის ეზოს ღობეები და ბაღ-ბოსტანი, მოსილა ეზო ნახევარ არშინის სიმაღლეზედ; სკოლაში სწავლა შეწყვეტილი იყო 22 ნოემბრამდე. დიდი ზარალი მისცა წყალმა აქაურს მედუქნეებსაც. ამ გვარი ამბავი ამ მდინარის მახლობლად წელიწადში ერთჯელ-ორჯელ ყოველთვის ხდება, მაგრამ ეს მეტად საშიშარი იყო. აუცილებელია, რომ შენობები გადატანილ იქმნენ მაღლობ და უშიშარ ადგილზედ. სასწავლებლის აქავე დარჩენას ხელს უშლის კიდევ შემდეგი მიზეზები: 1, სასწავლებელს არა აქვს საკუთარი ადგილი, ეს ადგილი ეკუთვნის გლეხთ გოგამეებს, რომლებიც ყოველ მხრივ შევიწროებას აყენებენ სასწავლებელს; 2) სასწავლებლის ეზო მეტად ვიწროა 130 მოსწავლისათვის, არა აქვს საბაღე ადგილი საკმაოდ; 3) ოთხი-ხუთი საჟენის სიშორეზედ სასწავლებლიდგან ჩამწკრივებულია დუქნები, სადაც თავს იყრიან მოქეიფეები, დაჰმღერიან არღანის ხმაზედ უწესო სიმღერებს, გამოდიან ქუჩაში, ისვრიან რევოლვერებს, და სხ. ამ გვარი სურათების დანახვა, რასაკვირველია, ცუდად ჰმოქმედობს მოსწავლეებზედ და თან ხელს უშლის მასწავლებლებს მეცადინეობის დროს. აქვე საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ აქაურმა მცხოვრებმა დიმიტრი ნაფეტვარიძემ თანხმობა განაცხადა სასწავლებლის საპატიო მზრუნველობისა და აღუთქვა უფლის სასწავლებელს ორი ქცევა ადგილი. ამ გვარი დახმარებაც, რასაკვირველია, ეხლა ეჭირვება სკოლას.

ვლადო ბზვანელი

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც უკანასკნელად მოსული გაზეთები მოგვითხრობენ, კაპის ახალშენის მრავალს ადგილას მცხოვრები ჰოლანდიელები აშკარად აშფოთებულან ინგლისის მფლობელობის წინააღმდეგ და ბურებისაკენ გადასულან. მაგალითად, აი რას აცნობებენ კაპშტადტიდგან ლონდონის გაზეთს „Standard“-ს.

„ვენტერშტატიდგან მოსულმა კაცმა ილაპარაკა, რომ მთელი ეს ოლქი, როგორც ერთი კაცი, მტრისაკენ გადავიდაო. მეამბოხეთა რიცხვი 2,300 კაცზედ ნაკლები არ არის. ყველა გავლენიანი ფერმერები ამ მოძრაობას მიემხრო. ოლქის უფროსად დანიშნულია კაპის ახალშენის მოხელედ ნამყოფი—ვილიენი. მეამბოხენი დიდის ამბით ემზადებიან კაპშტადტისაკენ გალაშქრებას და ამბობენ,—ღმერთი ჩვენსკენ არისო. გენერალ ბულლერის პროკლამაციას, რომლითაც ის აფრთხილებდა მცხოვრებთ, რომ ინგლისის ღალატი არ გაჰბედოთ, თორემ სასტიკად დაისჯებითო, კედლებიდგან ჰკლეჯდნენ და ფეხქვეშ სრესდნენო“.

ერთი ნემეცური გაზეთი ამტკიცებს, რომ ყველა ჰოლანდიელები, რომლებიც მდინარე ორანჟესა და ქალაქებ—დე-პრსა, შტორმბერგსა და ბარკლიისტს შორის სცხოვრობენ, აშკარად აჯანყდნენო. ჰოლანდიელების რიცხვი, რომლებიც ბურებს შეუერთდნენ, 8 ათას კაცზედ ნაკლები არ იქნებაო.

— ლონდონში ამბავი მოსულა, რომ აფრიკანდიორების კომიტეტი მოციქულების გაგზავნას აპირებს ლონდონში, მთავარ ბრალმდებლის სოლომონის მეთაურობით, მოსალაპარაკებლად იმის შესახებ, რომ ომი შეწყვეტილ იქმნას და ორანჟეს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ხელ-უხლებელიო. ინგლისის მთავრობას გადაუწყვეტია, რომ ეს დესპანები არას შემთხვევაში არ ვინახულოთო.

— ირლანდიელები დიდს თანაგრძნობას უცხადებენ ბურებს, ისიც აშკარად, და ეს გარემოება ძლიერ აფიქრებს ინგლისის მთავრობას. როგორც გაზეთები გვაუწყებენ, ირლანდიელების ახალშენლების სასულიერო წოდებას და დანარჩენს წევრებს გადაწყვეტილი უარი განუცხადებიათ დასწრებოდნენ პანაშვიდს, რომელიც, ინგლისელ ახალშენების თაოსნობით, გარდახდილ იქმნა რომში სამხრეთ აფრიკაში დახოცილ ინგლისის ჯარის კაცთა მოსახსენებლად. დიდად საყურადღებოა კიდევ ის, რომ ირლანდიის მომრიგებელ მოსამართლეთა კრებულის წევრი—ლორდი ემლი დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან ირლანდიის ლორდ-კანცლერის ლორდის აშბრნის ბრძანებით. ასეთი მოქმედება ინგლისის მთავრობის მხრივ გამოიწვია ლორდ ემლის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ მუშების კრებაზედ ლიმერიკში. ლორდს ემლის, სხვათა შორის, უთქვამს თავისს სიტყვაში, რომ ინგლისის მთავრობამ, შეიძლება, მეორე ლედისმიტი ნახოსო; ლორდს აშბრნს ოფიციალურად მოუთხოვია მისთვის,—ამიხსენი, რისი თქმა გინდოდა ამითო, მაგრამ ემლის პასუხი არ მიუცია. ირლანდიაში იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ სამსახურიდგან დაითხოვოს მთავრობამ ისეთი მოხელე, რომელიც წარჩინებულ გვარს ეკუთვნის. ირლანდიის ხალხი საზოგადოთ ისეთს თანაგრძნობას აცხადებს ბურებისადმი, რომ მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია იქიდგან ჯარების გაყვანა, მაშინ როდესაც სამხრეთი აფრიკა თან და თან მომეტებულს ჯარს თხოულობს.

## დამაკვირდა

ისეთი ყმაწვილი ქალებიც არიან, რომელნიც მათთვის უსიამოვნო კაცს მისდევენ ცოლად იმ ადრევე მოფიქრებულის განზრახვით, რომ პირველს შემთხვევაზედვე უღალატონ.

ავსეენკო

* * *

რომე სასაკვდინოდ წაქცეულო მოყვასსა შენსა, ვიდრე ხმალს მოიქნევდე, მოიხსენე მისი მშობელი, რომელიც ცრემლს დაღვრის შვილისათვის, და მშობელიცა შენი, რომელი შენით ნუგეშობს და შენგან მოელის დატირებასა და კურთხევას.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟელი ექიმი სინელი იუწყება, რომ თავისს მოჭრა ყველა სხვა გვარ სიკვდილით დასჯაზედ ბევრად უფრო ძნელი და სატანჯველიაო. სინელი ამტკიცებს, რომ სისხლი თავიდგან-კი არა, სხეულიდგან გამოდის, თავი ნელ-ნელა იცლება სისხლისაგანაო. ტვინი თავისს მოკვეთის შემდეგ მთელი ორი საათი მოჰქმედობს კიდევ და სისხლიც სამის საათის განმავლობაში მოძრაობაშია. ამიტომ ამ ხნის განმავლობაში ტანს გაშორებული თავი ყველაფერსა ჰგრძნობს, ჰხედავს და ყველაფერი ესმის. ადვილი მისახვედრიაო, ამბობს ექიმი, რა ტანჯვა და წვალება უნდა გამოიაროს ასეთმა თავმა, ვიდრე სიკვდილი გრძნობას დაუკარგავსო.

* * *

ალტონში, როგორც ერთი გერმანული გაზეთი მოგვითხრობს, ფლოტბეკკის გზატკეცილზედ ერთს მუშას წინ დაჰხვედრია მშვენიერად ჩაცმული და გამოწყობილი ყმაწვილი კაცი. ამ კაცს დაუწყვია ლაპარაკი მუშისთვის, უკითხნია, სადა მსახურებო, და რა გაუგია, რომ ნავთსადგურზედ მუშად ყოფილა, უთქვამს, თუ გინდა ძალიან კარგსა და შემოსავლიან ადგილს გიშოვნიო. მუშას გაჰხარებია, მაგრამ გამოუცხადებია, ჯერ შემატყობინე, რა ადგილიაო, ამაზედ უცნობს მიუგია, ჩემთან ერთად ინგლისში წამოდი და იქ ჯარში შედი ბურების წინააღმდეგ საბრძოლველადაო. ჯამაგირი დიდი გექნება და ამას გარდა ომის გათავების შემდეგ პენსიაც დაგენიშნებაო. მუშას ხმა არ გაუცია, დაუვლია კისერში ხელი, წაუქცევია მიწაზედ და ლაზათიანად მიუბეგვნია. შემდეგ უთქვამს: ვისურვებ, რომ ბურებმა სწორედ ისეთი დღე დააყენონ ინგლისელებს, როგორიც ეხლა მე შენ დაგაყენეო.

* * *

როსტოვში ამ ჟამად ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ვინმე კ.—ნის შესახებ. ამ რამდენისამე კვირის წინად კ.—ნის ცოლი შეურთავს. ქორწილის შემდეგ გამოუცხადებია, ცოლი ნათესავთან უნდა წავიყვანოო, მაგრამ ნათესავების მაგივრად ერთს ტრაქტირში წაუყვანია, იქ ოთახი დაუქირავებია და ღამე გაუთევია. დილა ადრიან, როდესაც ცოლს ეძინა თურმე, ქმარს გარედგან კარები დაუკეტნია და ქალაქს გარედ დუქანში წასულა საქეიფოდ. იქ სიმამრისაგან აღებული ფული სულ დაუხარჯავს და შემდეგ სადღაც დაკარგულა. მთელი სამი კვირა არსადა სჩანდა თურმე. საწყალი ქალი, ტრაქტირიდგან თავისს სახლში დაბრუნებული, დარდისა და სირცხვილისაგან ავად გამხდარა. მაგრამ ქმრის ღირსეული ყოფაქცევა ამით არ დამთავრებულა. ამ დღეებში როსტოვის პოლიციის გამგეობას ქაღალდი მისვლია იმისაგან, რომელშიაც სთხოვს პოლიციას, კანონის ძალით ჩემი ცოლი აქ ეკატერინოსლავში გამოგზავნეთ, მე აქა ვცხოვრობ და ჩემი ცოლიც აქ უნდა იყოსო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 დეკემბერი

**სანტანდერი.** „ჰავასის სააგენტო“. ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობში აფეთქება მოხდა. ერთი კაცი მოკლულ იქმნა, სამი დაიჭრა. შენობა დაინგრა.

**ხარკოვი.** ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ხუთის გლეხისა, რომელთაც ამა წლის აგვისტოს განუზრახავთ სადგურებს გრაკოვსა და ბულაცელევკაში სახალხო მატარებლის დაღუპვა იმ აზრით, რომ ესარგებლნათ სხვა-და სხვა ნივთებითა და საქონლით. სასამართლომ ერთი ბრალდებული გაამართლა, ოთხს სასჯელი გადაუწყვიტა.

**მოსკოვი.** გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის უკეთესობა დაეტყო: დღეს ავადმყოფმა ლოგინიდგან წამოდგომა და ოთახში გავლა შესძლო.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“-ი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ინგლისელების მხრივ მოკლულ, დაჭრილ და ტყვედ წაყვანილ იქმნა სულ 4,572 კაცი, მაშინ, როდესაც ომი ეს-ეს არის დაიწყოო.

**დუბლინი.** დღეისათვის მოწვეულ იყო ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება იმ რეზოლიუციის განსახილველად, რომელშიაც პროტესტია გამოცხადებული ტრანსვაალთან ომის გამო, მაგრამ საკმაო რიცხვი წევრებისა არ შეიკრიბა. ლორდ მერმა სიტყვა წარმოსთქვა ომის წინააღმდეგ. კრებაზედ დიდი უწესოება იყო. ბევრი ჰყვიროდა: „გაუმარჯოს კრიუგერს“.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“, უმაღლესი სასამართლო. გრაფმა დიონმა ჩვენების ჩამორთმევამდე დაიწყო ლაპარაკი. თავმჯდომარემ უბრძანა გაეყვანათ გრაფი. ბრალდებულთ ყვირილი შეჰქმნეს და თავმჯდომარეს შეეკამათნენ. კაილის მიუსაჯეს სამის თვით საპყრობილეში დაპატიმრება და კამათის დაწყებამდე კრებიდგან განდევნა. ბრიუნეს აეკრძალა რვა კრებაზედ დასწრება, ხოლო დიუბიუკს—ორს კრებაზედ.

**ვაშინგტონი.** „რეიტერის სააგენტო“. სენატი. მორგანმა წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ აღკრძალულ იქმნას კორპორაციების შეერთება, როდესაც ასეთს შეერთებას მოსდევს ვაჭრობისა და გზების ხელში ჩაგდება, რომელსამე საქონელზედ ნიხრის მომატება და სხვ.

კამათის დროს მესონმა შეიტანა რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ სენატი დიდის იმედით ადევნებს თვალ-ყურს ბურების ბრძოლას თავისუფლებისათვის. გრძელი სიტყვა მესონისა სენატორებმა და საზოგადოებამ დიდის ყურადღებით მოისმინეს. მესონმა სთქვა, მონროეს დოქტრინა და შეერთებულის შტატების წარსული ისე-სავე უფლებას გვაძლევს თანაგრძნობა გამოუცხადოთ ბურებს და იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაიმარჯვებენ, როგორიც კუბის საქმეში ჩარევის უფლება მოგვცა. ორატორმა ილაპარაკა ღარიბ, მაგრამ მამაც ჰოლანდიელების შესახებ და თავისს ნათქვამის დასასაბუთებლად მრავალნი ავტორიტეტნი იმოწმა. რეზოლიუცია გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისიას გარდაეცა.

## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა,** ბ-ნ გუბერნატორის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით ხორცზედ შტემპელის დაკვრის შესახებ, აცნობებს ტფილისის ვაჭრებს, რომ სხვა ქალაქებიდგან მიღებული ლორები, მიღებისათანავე უნდა წარმოდგენილ იქმნას საყასბოსა ან ქალაქის ლაბორატორიაში გამოსაკვლევად იმისა, ტრიხინიანია თუ არა, და მე-2 §-ით დადგენილ შტემპელების დასაკრავად, იმის მიუხედავად, ლორებს აქვს თუ არა სხვა რომელისამე ქალაქის ნიშნები. (3—6.—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და საафთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. საафთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის საафთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—47)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА.
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—20)

Дозволено цензурою, Тифлисъ 1 Декабря 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე